

2016 წელს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის  
მეურნეობის განვითარების სამსახურის მიერ გაწეული  
მუშაობის შესახებ

2016 წელს სამსახურმა განახორციელა მნიშვნელოვანი საქმიანობები  
სხვადასხვა მიმართულებით. კერძოდ:

1. სამსახურის ძალისხმევითა და აქტიური თანამშრომლობით გამგეობის სხვადასხვა სამსახურებთან, მომზადდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ხედვისა და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დოკუმენტი. დოკუმენტის შედგენის პროცესში ჩართულნი იყვნენ საერთაშორისო ფონდებიდან ექსპერტები, რომელთა კონსულტაციების შედეგად გეგმამ საბოლოო სახე მიიღო და მუნიციპალიტეტის გამგეობა მიყვება აღნიშნულ გეგმაში აღწერილი საქმიანობების განხორციელებას.

2. ჩვენს მიერ თავის დროზე შემუშავებული პროექტი ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის შესახებ პრაქტიკულად ინერგება მუნიციპალიტეტში. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 2016 წლის 18 იანვრის დადგენილებით, საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამა „ქართული ჩაი“. სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ინფორმაციით, დღეისათვის აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობას იღებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან 1 შპს ( „ახალი ქართული ჩაი“, ლაითური) და 1 სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი („ვაშნარი“), რომლებიც მოახდენენ ჯამში 87 ჰა ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციას და სახელმწიფოდან მიიღებენ თანადაფინანსებას დაახლოებით 150 000 ლარის ოდენობით. აღსანიშნავია, რომ სულ გურიაში 3 დაფინანსებული პროექტია ამ პროგრამის ფარგლებში.

10 ჰა ჩაის პლანტაციის რეაბილიტაციისა და ჩაის გადამამუშავებელი წარმოების გაფართოების მიზნით უკვე დაფინანსებულია 1 სასოფლო სამეურნეო კოოპერატივი („ნაგომრის ჩაი“, ნაგომარი), რომელმაც პროგრამა „ENPARD“დან მიიღო დაბრუნებადი გრანტი 100 000 ლარის ოდენობით.

ასევე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო პროგრამა „შეღავათიანი აგროკრედიტი“ს ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტიდან თანადაფინანსება მიიღო შპს „ნატურა თი კომპანიმ“, ჩაის გადამამუშავებელი ფაბრიკის მშენებლობისათვის სოფელ გურიანთაში და იგი უკვე აწარმოებს სხვადასხვა ხარისხის ჩაის ადგილობრივად მოწვეული ნედლეულიდან; ასევე შპს „საქართველოს თაიგული“, რომელმაც სახელმწიფო პროგრამა „აწარმოესაქართველოში“მიიღო

დაფინანსება ჩაის გადამამუშავებელი საწარმოს შექმნისათვის სოფელ დვაბზუში, ფაბრიკა ამჟამად მშენებლობის პროცესშია.

ჩვენი სამსახური ძალისხმევა არ იშურებდა, რომ ფერმერებთან გაეტარებინა კონსულტაციები ჩაის დარგის აღმავლობისათვის, იმისათვის, რომ მომხდარიყო გავერანებული ჩაის პლანტაციების რეზილიტაცია. ბევრს არ სჯეროდა ჩაის დარგის აღორძინების, კერძო მესაკუთრეები დიდი იმედით არ უყურებდნენ ამ დარგს, მასიურად ხდებოდა ჩის პლანტაციების ათხრა და მის ადგილას სხვა, უფრო მომგებიანი კულტურების გაშენება. თუმცა ჩენმა გამგებელმა, ბატონმა მერაბ ჭანუყვაძემ მხარი დაგვიჭირა პროცესის დაწყებაში და ახლა, შესაბამისი სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებით, დღეს უკვე დაწყებულია მეჩაიეობის დარგის აღმავლობა, რასაც თუნდაც იჯარით გაცემული ჩაის პლანტაციები მოწმობს. დარგის განვითარებით, გაიზრდება მოსახლეობის შემოსავლები, დასაქმებულთა რაოდენობა და მათი ეკონომიკური კეთილდღეობა.

3. ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი საკმაოდ დიდია ბიზნესის , და მათ შორის, აგრობიზნესისადმი. სამსახურის სპეციალისტები ატარებდნენ კონსულტაციებს, ასევე გასვლით შეხვედრებს ფერმერებთან როგორც ბიზნეს იდეების გენერირებისათვის, ასევე ამ იდეების ხორცშესხმისათვის ბიზნეს-გეგმების შესადგენად და დაფინანსების მოსაპოვებლად სხვადასხვა დონორიდან (დაახლოებით 450 კონსულტაცია როგორც ადგილზე, ასევე ველზე გასვლით). სოფლის მეურნეობის კონსულტანტები სისტემატიურად აძლევენ კონსულტაციებს ფერმერებს შედეგად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პროექტების მართვის სააგენტოს მიერ სხვადასხვა პროგრამებით ისარგებლა:

- ❖ შეღავათიანი აგროკრედიტით ისარგებლა 60-მა ბენეფიციარმა. საბრუნავი საშუალებებისათვის გაიცა 13 სესხი 799 500 ლარის ოდენობით და 1 სესხი 146 982 აშშ დოლარის ოდენობით; ძირითადი საშუალებებისათვის გაიცა 37 სესხი 487 300 ლარის ოდენობით და 28 სესხი 6 598 440 აშშ დოლარის ოდენობით;
- ❖ სოფლის მეურნეობის პროდუქციის შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის

ფარგლებში დაფინანსდა 2 პროექტი 560 192 აშ დოლარის  
ოდენობით, ჯამურმა ინვესტივამ შეადგინა 1 400 481 აშშ დოლარი;

- ❖ პროექტი „დანერგე მომავალის“ ფარგლებში ოზურგეთის  
მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 10 პროექტი, რომლის ფარგლებშიც 53  
ჰა მიწის ნაკვეთზე გაშენდა თხილის, ხოლო 17 ჰა-ზე - ლურჯი მოცვის  
პლანტაცია. სააგენტოს სუბსიდიამ შეადგინა 257 697 ლარი, ხოლო  
ჯამური ინვესტიცია - 462 462 ლარი.

- ❖ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს „მიკრო და მცირე მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის“ პროექტის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მხოლოდ 2016 წელს პროექტის განხორციელების მეორე ეტაპზე სულ შევიდა 708 განაცხადი, აქედან დაფინანსდა 26 პროექტი 164 200 ლარის ოდენობით. პირველი ეტაპისგან განსხვავებით, დაფინანსებული პროექტების რაოდენობა შემცირდა (პირველ ეტაპზე დაფინანსდა 49 პროექტი 407 782 ლარის ოდენობით). მეორე ეტაპზე დაფინანსებული პროექტებიდან 15 მომზადებული იყო სამსახურის ეკონომიკის განყოფილების სპეციალისტების მიერ.
- ❖ ასევე მნიშვნელოვანია პროგრამა: “ყოფილ და პოტენციურ მიგრანტთა საგანმანათლებლო და ბიზნესსაქმიანობების ხელშეწყობა პროექტი“, რომელსაც ახორციელებს გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორები არიან სახალხო უნივერსიტეტთა გერმანული ასოციაცია DVV International და ოზურგეთის ახალგაზრდა მეცნიერთა კლუბი. გრანტის მოცულობა 5 000 ლარს მოიცავს ერთ ბენეფიციარზე, ბენეფიციარის თანამონაწილეობა კი 10%-ა. აღნიშნული პროექტის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დაფინანსდა 7 პროექტი 35 000 ლარის ოდენობით, აქედან 2 დამტკიცებული პროექტი უშუალოდ ჩვენი სამსახურის სპეციალისტების კონსულტაციებით იყო მომზადებული.

4. იქედან გამომდინარე, რომ სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის და დარგიდან მეტი შემოსავლების მიღებისათვის ჩვენი აზრით აუცილებელია შეირჩეს ბიზნესის განვითარების სწორი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, რასაც სოფლის მეურნეობაში კოოპერატივები უზრუნველყოფს, სამსახურის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას სწორედ ბენეფიციებთან სწორედ ამ კუთით მუშაობა გახლდათ, რადგანაც დღეისათვის კოოპერატივებს მეტი შესაძლებლობები აქვთ ჩაერთონ სხვადასხვა პროგრამებში და ისარგებლონ მეტი სიკეთით.

5. მუნიციპალიტეტის ეკონომიკის ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილია სოფლის მეურნეობა და სოფლის მეურნეობის პროდუქციისაგან მიღებული შემოსავლები. შესაბამისად, როგორც ცნობილია ა(ა)იპ- „ფერმერული მეურნეობის განვითარების ცენტრის“ ბაზაზე შექმნილია საცდელ სადემონსტრაციო ნაკვეთი, ადგილობრივი

მოსახლეობის დაინტერესების ამაღლების მიზნით დარგისადმი და პრაქტიკის გაზიარებისათვის. ამჟამად საცდელ-სადემონსტრაციო ნაკვეთში გაშენებულია მრავალწლიანი ნარგავები: ვაშლი, მსხალი, ატამი, ხურმა და კურკოვნები. ასევე დაირგო და გახარებულია გურული ვაზის ენდემური ჯიშების 29 სახელობა, ინტროდუქცირებული (შემოტანილი) სასუფრე და საღვინე ჯიშების 12 სახეობა და საძირე-სადედ 2 სახეობა. ასევე თუთის ასი

ათასი ნერგი სახელმწიფოს ქართველმა ბიზნესმენმა, კომპანია „ასკანელი ძმების“ დამფუძნებელმა ჯიმშერ ჩხაიძემ, მეაბრეშუმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საჩუქრად გადასცა. ნაკვეთზე სულ 200-მდე თუთის ნერგი დაირგო, ხოლო დაახლოებით 3 000 ნერგი უსასყიდლოდ დაურიგდათ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მცხოვრებ დაინტერესებულ ფერმერებს.

ნაყოფიერი მუშაობა გაგრძელდა „კავკასიის გენეტიკასთან“, რის საფუძველზეც ღორის ხელოვნური განაყოფიერების სადგურში შემოყვანილი იქნა 4 სანაშენე დედა ღორი (ლანდრასის ჯიშის) და მიღებული იქნა პირველი ნამატი. მეღორეობის დარგის განვითარების მიზნით, გამგებლის ინიციატივით ფერმერებს სხვადასხვა ადმინისტრაციულ სოფლებშიცა უსასყიდლოთ გადაეცათ დაეცათ გოჭები. რათა მომხდარიყო ოზურგეთის მუნიციპალიტეტში მეღორეობის დარგის განვითარება, დაავადებების მიმართ გამძლე ჯიშების დანერგვის გზით.

6. აღსანიშნავია, რომ 2016 წელს სამსახურის მუშაობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა მუნიციპალიტეტში წარმოებული სასოფლ-სამეურნეო პროდუქციის რაოდენობის მონიტორინგი (ჩაი, კივი, მანდარინი, სიმინდი, ყურძენი და ა.შ.). შესაბამისად, ცნობებს, დამზადებული და რეალიზებული პროდუქციის რაოდენობის შესახებ ვაწოდებდით დაინტერესებულ პირებს (გუბერნია, სამინისტროები, მაჟორიტარის ოფისი).

7. სამსახური აქტიურად არის ჩართული მცენარეთა თუ ცხოველთა სხვადასხვა დაავადებებთან ბრძოლაში, სხვადასხვა სახელმწიფო სააგენტოებთან მჭიდრო თანამშრომლობით, ხდებოდა ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირება აღნიშნულ დაავადებებთან და შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების გატარებით გამგებლის წარმომადგენლებთან ერთად. სამსახურის ორგანიზებით მოხდა შესაწამლი აპარატების შეკეთება, ასევე ადმინისტრაციულ ერთეულებში გამგებლის წარმომადგენლებს გადაეცათ შესაწამლი პრეპარატები საკარანტინო მავნებლების წინააღმდეგ (თეთრი პეპელა, ბზის ალურა და ხვატარი), მოხდა შეხვედრა მოსახლეობასთან ცხოველთა პროფილაქტიკურ ვაქცინაციასთან დაკავშირებით.

8. ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახური აქტიურად იყო ჩართული სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ინიცირებული და განხორციელებული „მცირემიწიან ფერმერთა

ხელშეწყობის 2016 წლის პროგრამაში“, რომლის ფარგლებშიც სამსახურის სპეციალისტების მიერ იქნა მომზადებული პროგრამაში მონაწილე ბენეფიციართა შესახებ დაზუსტებული ინფორმაცია და გადაგზავნილი იქნა სოფლის მეურნეობის სამინისტროში. პროგრამით ისარგებლა 24 000 ბენეფიციარმა.

9. სამსახური მჭიდროდ თანამშრომლობდა პროგრამა „აგროდაზღვევის პროექტის“ ფარგლებში. ჩვენი სამსახურის სპეციალისტი, აკაკი ღლონტი აქტიურად იყო ჩართული აღნიშნულ სამიანობებში, იგი ადგილზე გასვლით, ჩვენიფერმერების თხოვნით, ადგილზე სწავლობდა და ადევნებდა თვალყურს დაზღვევის პროგრამის მიმდინარეობას და იძლეობდა კონსულტაციებს ფერმერებისათვის. 2016 წელს დაზღვეული იყო 324 ბენეფიციარი (113 ჰა), სადაზღვევო ლიმიტმა შეადგინა 665 030 ლარი, სადაზღვევო პროე,მი იყო 60 262 ლარი, ხოლო სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს თანადაფინანსებამ შეადგინა 43 378 ლარი.

10. მეცხოველეობასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით აღსანიშნავია ხელოვნურ განაყოფიერების გზით მიღებული შედეგები: მეხორცული და მერძეული სელექციური ჯიშების დანერგვის ხელშეწყობა (ჯერსი, შვიცი, ჰოლანდიური, ტარანტაიზე და სხვა), რის შედეგად რძის და ხორცის წარმოება მკვეთრად გაიზარდა. აღნიშნული ჯიშები იძლევა 20-25 ლიტრამდე რძეს დღეში ნორმალური კვების პირობებში; ხელოვნური განაყოფიერების გზით 2016 წელს მიღებული იქნა 2000-ზე მეტი ხბო.

11. სამსახური ასევე მონაწილეობას იღებდა ადგილობრივი ფერმერებისათვის საინტერსო შეხვედრების ორგანიზებაში. კერძოდ:

- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მოწვევით მუნიციპალიტეტის ტერიტორიულ ერთეულებში (შემოქმედი, ლიხაური, გურიანთა) ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანა“ მეთხილე ფერმერებთან ეკოლოგიურად სუფთა პროდუქტის წარმოებაზე (თხილის მოყვანა-გაშენება) ტრენინგების ციკლი ჩაატარა ატარებს. ფერმერებისთვის პრაქტიკული და თეორიული სემინარების ჩასატარებლად მუნიციპალიტეტის გამგეობიდან მიწვეულია ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის მთავარი სპეციალისტი აკაკი ღლონტი. აღნიშნული პროექტი სახელწოდებით „სამართლიანი ვაჭრობისა და ბიო თხილის საწარმოო ჯაჭვის აწყობა მცირე ფერმერებისთვის საქართველოში“ იმერეთისა და სამეგრელოს რეგიონებში 2012 წლიდან ხორციელდება. პროექტის ფარგლებში შექმნილია მეთხილე ფერმერთა 6 კოოპერატივი. მეთხილეთა

კოოპერატივების ჩამოსაყალიბებლად ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის ხელშეწყობით მოსამზადებელი სამუშაოები უკვე დაიწყო ლიხაურის, შემოქმედისა და გურიანთის ტერიტორიულ ერთეულებში. პროექტს შვეიცარიული კომპანია Heks eper- ი და საქართველოში ბიო-თხილის გადამამუშავებელი საწარმო Anka fare trade აფინანსებს.

- ქართული ჩაის შესახებ ქუთაისში სამუშაო შეხვედრა, რომელიც სოფლის მეურნეობის განვითარების ევროპის სამეზობლო პროგრამით (ENPARD),

ეკონომიკის საერთაშორისო სკოლის (ISET) კვლევითი ინსტიტუტის, ორგანიზაცია CARE -ის, რეგიონალური განვითარების ასოციაციის და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის ორგანიზებით ჩატარდა. შეხვედრის მიზანი ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობისას წარმოქმნილი პრობლემების იდენტიფიცირება იყო.. შეხვედრაზე მოწვეულნი იყვნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე გოჩა ცოფურაშვილი, სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს ჩაის რეაბილიტაციის პროექტის მენეჯერი ლევან მიროტაძე, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს უფროსი გიორგი მიშელაძე, ჩაის კოოპერატივები, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის განმახორციელებელი კომპანიები და ჩაის მწარმოებელი კომპანიების წარმომადგენლები. შეხვედრას ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის ეკონომიკის განყოფილების უფროსი თეა კუპრაძე და მთავარი სპეციალისტი ნანა მელაშვილი ესწრებოდნენ.

- საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის მიერ გაკეთებული საკუთარი საქმიანობის პრეზენტაცია ადგილობრივი მეწარმეებისათვის, რომელიც ორგანიზებული იყო ოზურგეთის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში;
- სამუშაო შეხვედრა გურიის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლებთან - სოფლის განვითარების სტრატეგია-შეხვედრები რეგიონებში- პროექტების ENPARD, UNDP და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ერთობლივად განხორციელებული პროექტის ფარგლებში;
- ახალი საგრანტო პროგრამა - „სტარტაპ საქართველო“ პრეცენტაცია ადგილობრივი დაინტერესებული მოსახლეობისათვის- შეხვედრა გაიმართა ოზურგეთის დემოკრატიული განვითარების ცენტრში;
- ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის მიერ ჩატარებული შეხვედრა სოფლის მეურნეობის სექტორში დასაქმებულებთან „DCFTA –ის სარგებელი და გავლენა სოფლის მეურნეობაზე“ - რომელიც განახორციელა ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრის წარმომადგენლებმა;

12. ჩვენი სამსახურის ერთ-ერთი პრიორიტეტია პრაქტიკული კონსულტაციები ფერმერებსა თუ ბიზნესით დაინტერესებულ ადგილობრივ მოსახლეობას შემდეგ საკითხებზე. გასულ წელს ჩატარდა კონსულტაციები შემდეგ საკითხებზე:

- საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგრანტო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ – 155 კონსულტაცია;
- საქართველოს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის საგენტოს ერთიანი აგროპროექტი - 30 კონსულტაცია;
  - თხილის პლანტაციის გაშენება - 55 კონსულტაცია;
  - ჩაის პლანტაციის რეაბილიტაცია - 110 კონსულტაცია;
  - წაბლის მეურნეობის გაშენება - 5 კონსულტაცია;
  - კოოპერატივების შექმნა - 150 კონსულტაცია;

- აგროდაზღვევა - 70 კონსულტაცია;
- სასათბურე მეურნეობის განვითარება - 10 კონსულტაცია;
- „მცირემიწიან ფერმერთა ხელშეწყობის 2016 წლის პროგრამა“, აგრობარათის შესახებ კონსულტაცია - 510 კონსულტაცია;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის მავნებლებთან ბრძოლა - 10 კონსულტაცია.
- ბიზნეს გეგმების შედგენა - 23 კონსულტაცია;
- ადგილზე გასვლები - 37 კონსულტაცია;
- მიწის ლეგალიზაციის პრობლემები - 9;
- სამაცივრე მეურნეობას გამართვა - 5 კონსულტაცია;
- ციტრუსების, კვიცი, პავლოვნის, ვაზის გაშენების შესახებ - 35;
- მეღორეობა, კურდღლის, ფრინველის მოყვანა-რეალიზაცია - 10 კონსულტაცია;

13. ჩვენი სამსახური ჩართული იყო კულტურული ღონისძიებების ორგანიზაციულ საკითხებში ადგილობრივი ფერმერებისა და მათ მიერ წარმოებული პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, კერძოდ:

ა. სახალხო დღესასწაული „ექვთიმეობა“ სამსახურის თანამშრომლებმა ორგანიზება გაუკეთეს ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს და ღონისძიებაზე მოხდა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა, რაც ადგილობრივი წარმოების პოპულარიზაციას ისახავს მიზნად.

ბ. სახალხო დღესასწაული „ალეგრობა - ოზურგეთობა“ - სამსახურის თანამშრომლებმა ორგანიზება გაუკეთეს ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს და ღონისძიებაზე მოხდა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა.

გ. სახალხო დღესასწაული „შემოქმედლობა“ - სამსახურის თანამშრომლებმა ორგანიზება გაუკეთეს ადგილობრივ ფერმერებსა და მეწარმეებს და ღონისძიებაზე მოხდა მათ მიერ წარმოებული პროდუქციის გამოფენა.

ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის სპეციალისტები მზად ვართ გამგეობისა და საკრებულოს წინაშე დასმული ამოცანების შესასრულებლად.